



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 28 დეკემბერი, 2016 წელი

დრო: 13:30 – 14:30 საათი

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „ჰოლიდი ინ“

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
2. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
3. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
4. ია თიკანაძე - ფრიდრიხ ებერტის ფონდი
5. ალექსანდრე ეჯიბაძე - საქართველოს პროფესიული განათლების ფონდი

განსახილველი საკითხები:

- შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე/ ქმედითი შრომითი ინსპექციის აუცილებლობა - ირაკლი პეტრიაშვილი, ნიკა კაკაშვილი
- პროფკავშირების მიერ შემუშავებული საპენსიო სისტემის მოდელის პრეზენტაცია - ირაკლი პეტრიაშვილი, გიგი ჭანტურიძე
- პროფკავშირების გაერთიანების და სახალხო დამცველის ერთობლივი ინიციატივა საქართველოში მინიმალური ხელფასის განსაზღვრის შესახებ
- სხვა

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად ჯგუფმა მოისმინა პროფკავშირების წარმომადგენლის ბატონი ნიკა კაკაშვილის პრეზენტაცია შრომის უსაფრთხოებისა და ქმედითი შრომითი ინსპექციის შესახებ. ბატონმა ნიკამ, ისაუბრა შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის შესახებ და აღნიშნა, რომ ამ სახით შრომის ინსპექციის სამსახური არ არის ეფექტური, რადგანაც მას არ აქვს ქმედითი მექანიზმები განახორციელოს სახელმწიფო ზედამხედველობა. მათ არ აქვთ უფლება დამსაქმებლის ნებართვის გარეშე შევიდნენ საწარმოში, ასევე დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში არ აქვთ სანქციის გაცემის უფლება და სხვა.

მან ასევე ისაუბრა იმ სავალალო სტატისტიკაზე, რომელიც თავის მხრივ გამოწვეულია შრომის უსაფრთხოების დაუცველობით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა, როგორც გაუმართავი საკანონმდებლო ბაზა ასევე, კანონის აღსრულების პრობლემა.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე პროფკავშირების წარმომადგენლმა, ბატონმა გიგი ჭანტურიძემ, ისაუბრა საპენსიო სისტემის კონცეფციაზე და ჯგუფს წარუდგინა ალტერნატიული სისტემა, რომელიც შეიმუშავა პროფესიული კავშირების გაერთიანებამ. როგორც ბატონმა გიგიმ აღნიშნა, მათ მიერ შემუშავებული სისტემა შედგება სამი სვეტისგან და მოიცავს შემდეგს:

1. საყოველთაო სახელმწიფო ბაზისური პენსია;
2. სავალდებულო (განსაზღვრული სარგებლის, Pay As You Go- შემოსავალთან დაკავშირებული) სქემა;
3. ნებაყოფლობითი კერძო (განსაზღვრული შენატანების) სქემა.

მომხსენებელმა დეტალურად განიხილა თითოეული პუნქტი და უპასუხა ჯგუფის წევრების შეკითხვებს.¹

ჯგუფმა ასევე მოისმინა პროფკავშირების გაერთიანების და სახალხო დამცველის ერთობლივი ინიციატივა საქართველოში მინიმალური ხელფასის განსაზღვრის შესახებ. მომხსენებელმა მოკლედ მიმოიხილა დღეს არსებული მდგომარეობა, საერთაშორისო გამოცდილება და დამსწრეებს წარუდგინეს რეკომენდაციები. მათ შორის:

- საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და მას დაემატოს მინიმალური ხელფასის დეფინიცია;
- მინიმალური ხელფასის ოდენობა განისაზღვროს როგორც საათობრივი, ასევე ყოველთვიური სახით, რათა არ მოხდეს არასრულ განაკვეთიანი სამუშაო ადგილების შემცირება;
- საქართველოს ორგანულ კანონში საქართველოს შრომის კოდექსში განისაზღვროს მინიმალური ხელფასის ყოველწლიურად გადახედვის მექანიზმი. მინიმალური ხელფასის ყოველწლიურად გადახედვის ვალდებულება დაეკისროს სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიას, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს პრემიერ-მინისტრს. პრემიერ-მინისტრი სოციალური პარტნიორობის

¹ ოქმს თან ერთვის პრეზენტაცია

სამხრეთი კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით ვალდებული იქნება დაადგინოს მინიმალური ხელფასის ოდენობა ყოველწლიურად;

- მინიმალური ხელფასის ანაზღაურებაზე კონტროლი უნდა განახორციელოს შრომის სახელმწიფო ინსპექციამ, რომელსაც უნდა გააჩნდეს ბერკეტი გამოავლინოს დარღვევა და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში გაატაროს დამრღვევის მიმართ კონკრეტული სანქციები.
- სხვა²

შეხვედრის დასასრულს, ჯგუფის კოორდინატორმა შეაჯამა განვილი სამუშაო წელი და ჯგუფის წევრებს უფრო პროდუქტიული და ნაყოფიერი სამუშაო წელი უსურვა.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.

² იხ. თანდართული პრეზენტაცია